# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/195

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023 წ.

**საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2023 წლის 27 ნოემბრის საბჭოს სხდომის №14 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ხელმძღვანელები - პროფესორი ზურაბ ბოსიკაშვილი და პროფესორი მზია კიკნაძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**